

უსაფრთხო და ჯანსაღი შრომის პირობები და
შრომის პირობების ინსპექტირება საქართველოში

ნინო გიგოლაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის ფაკულტეტზე, საჯარო სამართლისა და პოლიტიკის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ მიქელაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

22.06.2018

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

ნინო გიგოლაშვილი

22.06.2018

აბსტრაქტი

საქართველოში საწარმოო შემთხვევების საგანგაშოდ მაღალი სიხშირე ცხადყოფს, რომ შრომის უსაფრთხოების სფერო საჭიროებს ძირეულ რეფორმებს. ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა ფუნდამენტური ფასეულობებია. შესაბამისად, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება ქმედითი ნაბიჯები გადადგას დასაქმებულთა შრომითი პირობების გაუმჯობესების მიმართულებით.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ქვეყანაში არსებული შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის ანალიზი, ძირითადი დადებითი და უარყოფითი ფაქტორების წარმოჩენა, ასევე, შრომის ინსპექტირების მექანიზმის სიღრმისეული შესწავლა და შეფასება.

ნაშრომი კონცენტრირებულია დასაქმებულის უფლებაზე, ჰქონდეს უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პირობები. მასში სიღრმისეულად არის შესწავლილი შრომის ინსპექტირების მექანიზმი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტების შუქზე. საკვლევი საკითხები მოიცავს: შრომის უსაფრთხოების პოლიტიკას, შრომის უსაფრთხოების ეროვნულ სამართლებრივ ჩარჩოს, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის საქმიანობას, შრომის პირობების ინსპექტირების სახელმწიფო პროგრამის საქმიანობას, სამმხრივი კომისიის მნიშვნელობა და საქმიანობას, ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებს და ევროკავშირის დირექტივებს, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებს, სხვადასხვა ანგარიშებს და სტატისტიკურ მონაცემებს. ნაშრომში ძირითადი აქცენტები მიმართულია შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის საკანონმდებლო და ინსტიტუციური ასპექტებისკენ. შედარებით ნაკლები ადგილი ეთმობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ხედვას.

ნაშრომისთვის გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს არსებული მასალების (კვლევები, ანგარიშები) დამუშავებას; ეროვნული სამართლებრივი ჩარჩოს კვლევას; საერთაშორისო ხელშეკრულებების, სტანდარტების და რეკომენდაციების კვლევას; მედია მონიტორინგს; საჯარო ინფორმაციის გამოთხოვას და ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

ნაშრომის ბოლო დასკვნით ნაწილში შეჯამებულია კვლევის შედეგები. ნაშრომი წარმოაჩენს ძირითად პრობლემურ საკითხებს და კანონმდებლობის ხარვეზებს,

რომელთა გამოსწორებაც აუცილებელია შრომის უსაფრთხოების სწორი პოლიტიკის ფორმირების საქმეში. ვფიქრობ, ნაშრომი საინტერესო იქნება შრომის უსაფრთხოების სფეროს მოწესრიგებით დაინტერესებული ნებისმიერი პირისთვის და თავის მოკრძალებულ წვლილს შეიტანს არსებული პრობლემების უკეთესად გაანალიზებაში და შრომის ინსპექტირების ეფექტური მექანიზმის ფორმირებაში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სიცოცხლე და ჯანმრთელობა, საწარმოო შემთხვევა, შრომის უსაფრთხოება, ინსპექტირება, კონვენცია, კანონი, დეპარტამენტი, სამუშაო პირობები.

Abstract

The alarming high frequency of industrial incidents in Georgia shows that the labour safety field needs drastic reforms. Human life and health are fundamental values. Consequently, the State is obliged to take effective steps to improve the conditions of the workers.

The aim of this research is to analyze the existing labour safety policy of Georgia, to demonstrate main positive and negative factors, as well as the comprehensive research and assessment of the labour inspection mechanism.

Present study is concentrated on the right of the employee to have safe and healthy working conditions. It includes the thorough research of labour inspection mechanism in light of International Labor Organization's standards. The study covers the following issues: labour safety policy, national legal framework of labour safety, labour inspection department activities, state program of labour inspection, the value of Tripartite Commission and its activities, Association Agreement and obligations under EU directives, international Labour Organization's conventions, reports and statistical data. The main accents of the work are directed towards the legislative and institutional aspects of the labour safety policy. This study is relatively less concentrated on political and public vision.

Research methodology used for the study involves the processing of existing materials (research, reports), national legal framework survey, research of international agreements, standards and recommendations, media monitoring, public information and individual interviews.

The final conclusion of the work summarizes the results of the survey. The study shows the main problematic issues and legislative deficiencies that need to be addressed during the formation of the proper policy of labour safety. I think the study will attract the attention of people interested in the workplace safety regulations and the study will make its modest contribution to better understanding of existing problems and to the formation of an efficient mechanism of labour inspection.

Key words: life and health, industrial incident, labour safety, inspection, convention, law, department, working conditions.